

ნიკეპნი

ქართული
ბიბლიოთეკა

№ 4
1941 წ.

თბილისი. გამომცემლობა „ქომუნისტნი“. ფასი 1 მან.



ნახ. მ. ლებეშვიცისა

კავიგალისგურ ქვეყნის კორკასონღანგთა შორის

- რედაქციას ფრონტიდან ზუსტად შემოწმებული ცნობა მივაწოდე, რამდენს მომცემენ ნეტავი?
- ხუთ წელიწადს, ხასტიკი იზოლაციით.

30/14

41

172



სოფელი მხიარულ შრომას ეწეოდა. მარტისათვის არაჩვეულებრივი მზიანი დარი იდგა.

კოლმეურნეები იცინოდნენ, მღეროდნენ, ურთიერთს ხუმრობით მიმართავდნენ:

— ასე ვიცი, ბიძია, ბოლშევიკებმა, თუ გინდა ზამთარშიაც ზაფხულს მოვიყვანო, ასე რომ არ იქოს, ხომ გახსოვთ, მარტში მუხლამდე თოვლში დავდიოდით.

ამ დროს, მილიონერ კოლმეურნეობის თავმჯდომარის ივლიტა ჯაფიაშვილის ოჯახში მისი მოხუცი დედა რუსუდანი და ივლიტას ქალიშვილი მაყვალა, რომელმაც წარჩინებით დაასრულა კონსერვატორია და რამდენიმე დღით სოფელში ჩამოსულიყო, სუფრის გაშლას შესდგომოდნენ.

— ბებია, ჩემო ბებიკო, რამდენი წლის იქნები? — შეეკითხა მაყვალა რუსუდანს და კისერზე შემოეხვია. რუსუდანმა ორივე ხელები ბეჭებზე შემოიწყო, მაყვალას სახეზე მიატყერდა და ღიმილით უპასუხა:

— რამდენისაც არ უნდა ვიყო, მაინც ახალგაზრდა ვარ.

— ბებია, რა მოხდა, გასათხოვარი ქალი ხომ არა ხარ, რომ წლოვანებას მიმაღავ? მითხარი, ასი წლის ხომ იქნები?

— ასი წლისო? ისეც რა გითხრა. ჩემი დაბადება ჩემზე უკეთ ვის ეხსომება? დაბადებიდან, დიდი, დიდი, ორმოცდახუთი წლის ვიყო.

— უი, ეს რა თქვი ბებიკო? ორმოცდაათი წლის ხომ დედაჩემია? მაშ, შენ დედაჩემის შემდეგ დაბადებულხარ, ესე იგი, შენი ქალიშვილი შენზე ადრე დაბადებულა. არა, ბებია, შენ სულ ცოტა რომ ვსთქვა ოთხმოცი წლისა მაინც იქნები.

მაყვალამ გულთანად გადაიხარხარა და ნარნარი ხმით მიუძღერა: ოთხმოცი წლის ბებიაო რათ არ გათხოვდებიო.

— ეს, ჩემო გვრიტუნია, შენ მართალი ხარ, ჩემი ხნის ჩვენს სოფელში ქვაც არ იქნება.

მოვხუციდი შვილო, მაგრამ ჩვენს დროში მოხუცებულობას მაინც ვერ ვგრძნობ, რამდენჯერ სიკვდილი მინატრია ძველად, ახლა სიკვდილი კი არა, ოც წელს რომ კიდევ ვინმე მომიმატებდეს მისთვის თავს დავდებდი.

რუსუდანი ტახტზე ჩამოჯდა და მაყვალას მოუთხრო ამბები წარსული ცხოვრებიდან.

— აი, ხომ ხედავ, შვილო, ის გიჟი ფილიმონა, ეზოში რომ ბავშვებს ეთამაშება, ჩვენი სოფლის თავადიშვილი იყო. მისი მამა მთელ ჩვენს სოფელს ტყავს აძრობდა, ტანჯავდა. მაშინ ჩვენ ყველა მისი ყმები ვიყავით. ჰე, რამდენი დამცირება გამოგვიცდია მისგან, განსაკუთრებით ქალებს. — და მან უამბო თავის შვილიშვილს ფილიმონას გაგიყების ამბავი.

ფილიმონას ერთი გლეხის ცოლი მოსწონებოდა და განეზარა მისი ხელში ჩაგდება. ქალს უარით ეპასუხა. ფილიმონა დაქადნებოდა მას, თუ ჩემს სურვილს არ შეასრულებ, ქმარსა და შვილს ამოგიწყვეტო. ქალს ეს ყველაფერი ქმრისთვის გაემხილა, ქმარი სავგონებელში ჩავარდნილიყო და ბოლოს ცოლისათვის ეთქვა: აცნობე თავადს შენი თანხმობა, რომ ამაღამ როცა სოფელი ძილს მიეცემა, ტყის პირად გელოდებოდეს, დანარჩენი მე ვიციო. ცოლიც ასე მოქცეულიყო. დიდხანს ელოდებოდა თურმე ფილიმონა იმ ქალს დანიშნულ ადგილას, და აი, როცა მთვარე ღრუბლებს მიფარებოდა, მან თვალი მოჰკრა მისკენ მიმავალ ქალისათვის, იგი შურდულივით გაექანა თურმე მისკენ, მასთან მიიჭრა და ის იყო ხელები უნდა მოეხვია მისთვის, რომ მის წინ აიშართა ქალის ქმარი შიშველი ხმლით ხელში. ფილიმონა შიშს შეეპყრო, ცახცახი დაეწყო და ჭკუაზე შეშლილიყო უბედური.

მაყვალა სულგანაბული უსმენდა ბებიას, თითქოს იგი მოუთხრობდა მას არა ცხოვრების სინამდვილიდან, არამედ საშინელ ზღაპარს.

ეზოდან ბავშვების ყრიმული მოისმრდა. თმაგაბურძნულსა და ძონძებში გახიულ ფილიმონას ბავშვები ზურგზე ახტებოდნენ და ეთამაშებოდნენ. ფილიმონა თავისთვის ბლუკუნებდა, იღრიჭებოდა და ხანდახან მოულოდნელად ხარხარს დაიწყებდა.

ივლიტას ვაჟს, კოლმეურნე სერაპიონ ჯაფიაშვილის პატარა გოგონა, ყუყუნა და მეზობლის ბიჭი, თამაზი, დანარჩენ ბავშვებს გამოეყენნ და ფილიმონას შესახებ საინტერესო ამბები მოუყვენ ერთმანეთს.

— ასე კი არ ყოფილა ბიჭო, შენ რომ ამბობ, ბებია მიამბო, — ფილიმონა თავადიშვილი ყოფილა, — იცი ვის ქვიოდა თავადიშვილი? თავადიშვილი ქვიოდა ისეთ კაცს, რომელსაც თურმე მთელი სოფელი ეკუთვნოდა, ყველა მიწები მისი საკუთრება ყოფილა, — თავადიშვილი კი არ მუშაობდა, მუშაობდნენ სხვები და იგი თურმე ქეიფობდა. ჰო და, ფილიმონაც ასეთი თავადიშვილი ყოფილა.

საკოლმეურნეო მიწდგრებიდან სიმღერით ბრუნდებოდნენ კოლმეურნე ქალები და ვაჟები. მათ წინ მოუძლოდა ივლიტა. — თავის ეზოს რომ მიუახლოვდა, ივლიტამ თვალთ ანიშნა სერაპიონს ჭიშკარი გაელო, თვითონ კოლმეურნეებს გზაში გადაუდგა და ყველანი ოჯახში შეიპატიჟა.

— დღეს ქალთა დღეა, ამხანაგებო, — გათხოვთ დამეპატიჟოთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ივლიტას ოჯახში მხიარულება ფრთებს შლიდა, ოდის კიბეზე ჩამომჯდარი ფილიმონა შემწვარ ინდოურის ხორცსა და პურს შეეკცეოდა.

როცა თამადამ ივლიტას სადღეგრძელო დალია და მას მალიონერი ქალი უწოდა, ფილიმონა წამოდგა, საშინლად დაიღრიჯა და რალაც თავისთვის წაიბუტბუტა. ივლიტას სახლიდან მოისმრდა „მრავალ ჟამიერ“ და ამ სიმღერიდან გამორჩეოდა მაყვალას საამრო ხმა.

ნიანგლანის რალიო-ბიულაჟენაბი

უხუგარა

ვეროპის ყველა ქალაქში მოეწყო ნიანგლანისა, მე რწმუნებულად ნიანგმა დაიწიშნა, როგორც წესია: თან გამაყოლა ჩანგლოსან კორესპონდენტთა ლაშქარი. (თვალმახვილი და სწრაფია—ვერ დავწევა მას ქარიც!) გადავსნით ყველგან დესანტნი, ვანგალაგენით პოსტები, ავამუშავებ უმაღვე ტელეგრაფნი და ფოსტები და რისაც გავხდით მნახველნი, და რისიც გავხდით გამგონი: აჰა, მიიღეთ რადიო ამბავი სანიანგონი:

ლონდონი. მარტი. გაისმა კვლავ სირენების ყვირება, და, მდიდარ სიტის უბანში დაიწყო ბომბარდირება: ტემზის ნაპირზეც აბდავლდნენ საყვირნი როგორც არღნები, და ხანძრის ალმა მოიცივა საწყობები და ქარხნები, შემდეგ დოკებში იქუნა ყუმბარების ორკესტრმა, მერე სხვა და სხვა უბნიდან აფეთქებები მოგვესმა. მოკლედ, ბჭირივით ცვიოდა ტორპედო—მიძიმე წონისა, სახლთა ნგრევა და ხანძარი, სისხლისღვრა—მრავალ ტონისა უნდა გენახათ ლორღები—სულ სორო-სორო მძრომელი; ცილინდრ—მობდღენილინი გარბოდენ—რომელს გაასწრებს რომელი! ისინი თავს აფარებდენ,—წყდებოდა ხალხი მშრომელი! (რა ჰქნას ჯენტლმენთა? მსხვერპლს ითხოვს. სამშობლო ცეცხლში მდგომელი!) **უენიზხვა:** როცა გათავდა თავდასხმა—ძნელსაჭერტელი—

სასწრაფოდ გამოაქვეყნეს ასეთი ბიულეტენი; დღეს არსებითი, ლონდონში—სულ არაფერი მომხდარა; მხოლოდ ერთერთმა ყუმბარამ—ერთ-ერთი ხის ძირი მოთხარა. **მხხვერპლი არ არის.** (სულ რალაცა ათასი კაცი მომკვდარა **ზარალი უმენიზხველოა**—(ცხრაას ცხრა სახლი დაიქცა!) (ნაცვლად—მტრის ავიაცია, ისევ ხომ უკან გაიქცა!) ასეთი ტემპით თუ გვირტყა—მტერი განიცდის აღრევას: ათ წელშიც ძლივს მოახერხებს მთელ ლონდონის დაზარევას“...

სოფია. შუადღესანი. სასახლის მოედნის წინა—თავახიანი ტრაბახით—მსჯელობდა ერთი წიწილი: —ახლა მიყურეთ, მე რა ვქნა, ყველამ დამიგდეთ ყურია: ამ ზღვას ერთ ყლუპზე გადავკრავ, რადგან ცოტათი მწყურია,— აი იმ მთებსაც ხომ ხედავთ—შევეცილი ძველსა ალაგებს, რადგან ასე მსურს—ხან აქეთ, ხან იქით გადავალავებ! ამბობენ. მოსალოდნელი ყოფილა მიწისძვრებიცა— გარწმუნებთ, მე შევანერებ ჩემის ლინიერ მხრებითა. მოკლედ—სტიქიის შიშითა—ნუ იკრთობთ ჭკუნის ქანასო, აგერ არა ვარ? მე იმას რათ მივეცემ გასაქანასო? **უენიზხვა:** როცა აუხსნეს, რომ იგი ჩრინვია მოკლედფრჩხილგა და, იმას სტიქიის ძალა სულაც არ ემორჩილება,— ასტება წიავ-წიავი: „დედის სულს გეფიცებითო“ მე დაგიფარავთ სუყველას—ჩემი კოპია ფრთებითო! (კამათი აღარ დაუწყეს: სთქვეს რა ტყუილად ვცდებითო!)

ვაშინგტონი სადილის დრო, რეიტერი იუწყება, რომ ბოსტონით გამოსულა ახალი გემთა მთელი წყება, (რომლებიც რომ ამერიკამ ინგლისის უძღვნა საჩუქარად) და, სანაცვლოდ კუნძულები მისგან თვითონაც იძღვნა ჩქარად) ოკიანის შუაგულში წყალქვეშა ნავს გადააწყდა, და ტორპედით გახვრეტილი ჩაიძირა, წელში გაწყდა და წავიდა ფსკერისაკენ მილიონი ბრუტო ტონა, გემები და საქონელი—რაც გვიბოძეთ კონა—კონა! ვაშინგტონში გაიციენეს—მხიარული ხარხარითა: —რა გადარდებთ? თუ ჩასძირეს, მათ შეგიცვლით ახალითა, ოლონდ, ჩვენო ჯეტლმენნო, თვალზე ცრემლი მოიხოცეთ, და რაც ოქრო გაგაჩნიათ სულ აქეთკენ მოაცოცეთ, და საჩუქრებს არ მოგაკლებთ, მოგაწოდებთ ცოტა-ცოტად— ახალშენთა, ნავთსადღურთა და კუნძულთა სანაცვლოთა!



— რატომ მიხდევს ეს რომანისტი ამ ფუტკრებს?

— გაჯავრებულია: ხუთი „რომანი“ დაწერა და არცერთ კრიტიკოსს არ უკმენია, თქვენ როგორ გაბედეთ ჩემი ძმენაო...

თ ვ ა ლ თ მ ა ქ ს ი

იყო ერთი
წუწკი მელა
ქათმის ჯიში
დაანელა.
დაერია
ბატემს, იხვებს,
შემდეგ მოჰყვა
ასეთ სიტყვებს:
„ცოდვები მაქვს
ვატყობ ბლომად
არ შემრჩება
ბევრი ძრომა
უზღვავი მაქვს
შესანსლული
და რომ ვიხსნა
ჩემი სული,—
რომ შევცოცდე
სამოთხეში,—
მოდო, წავალ
ულრან ტყეში,
გავშორდები
მე ამ სოფელს
მაცდუნებელს,
სულის მგმობელს.
ქათმის ჯიშს არ
ვინახულვებ,
და ბერივით
ვიმარხულვებ.
ცხვირს ავიკრავ
ხელსახოცით,

რომ არ მეცეს
სუნი ხორცის.
ჩამოვხმები
ასე მწირი
ვით ბალახი.
ანუ ჩხირი.
ვინც კი მნახავს
ასე, ყველა
„გარდაიქმნა“ —
იტყვის—მელა.
ხმა მოედდა
სოფელს ხელად
„ჩამოვგვმორდა
წუწკი მელა.
აწი ქათმებს
ხელს არ ახლებს,
არ ჩაუფლის
ახლოს სახლებს.
გადიკარგა
უცხო მხარეს...“
ირწმუნეს და
გაიხარეს.


ერთხელ ცხვრების
მტაცებელმა
ინახულა
მელა მგელმა.
მომატოდა
ასე ქონი,

მგელს წაერთვა
შურით გონი.
ძვალიც აღარ
ემჩნეოდა
და ტყავში ძლივს
ეტეოდა.
„მეგობარო—
უთხრა მელამ,—
ხედავ თვითონ,
ხედავს ყველა,
რომ ის არ ვარ,
რაც ვიყავი,
მრჩება მხოლოდ
ძვალი-ტყავი
დავივიწყე
ხორცის სუნი,
რომ „ვიცხოვო“
ცაში სული.
მგელმა უთხრა
—ნათლი დედავ.
ვერ გიჯვრი.
რადგან ვხედავ
ქონი რომ გაქვს
მორეული.
გიცნობ, არ ვარ
მორეული.
ჯერ მარავს სჯამ
დახოცილებს,
მსუქან ქათმებს
დალოცვილებს.

შემდეგ, „სულს“ კვლავ
„შეეწვი“
და საქათმეს
მიესევი.
მიტომაც გაქვს
სამოსახლო,
საქათმესთან
აქვე, ახლო.

არ დავიწყებ
ბევრ ლაპარაკს.
მიტომ ვამბობ
მელას არაკა
რომ ზოგიერთ
მოქალაქეს
ბევრით წავავს
მელას საქმე.
თვალთმაქცობით
ხიბლავს ყველას.
მლიქვნელია.
როგორც მელა.
ხალხის დოვლათს
ჩუმად, ბნელად
შეეპყვა
ნელა-ნელა.
მაგრამ მაინც
არ შერჩება
და კბილები
ჩაემტვრევა.

მედუზა



ეს პატარა მოქმედება კადრების სამართ-
ველოში სწარმოებს. სად,—არ ვასახელებო.
რადგან სხვა ამ სახელწოდების სამართვე-
ლოები იტყვიან: „ჩვენ არ გეხებაო“. მოზ-
რდილ კაბინეტში ზის უსათვალეობო კაცი.
აცვია უბრალოთ, მიუხედავად იმისა, რომ
საქმეს დიდს „აკეთებს“. ზარის ღილს
თითს დააქერს და კარისკაცს აძლევს გან-
კარგულებას:

—შემდეგი!...
შემოდის მოქალაქე:
—გამარჯობათ!
—ღაბრძანდით, რა გნებათ?
—სამუშაო მინდოდა.
—რა გვარი ხართ?
—ნემსაძე...

უსათვალეობო კაცი შუბლზე თითს მი-
იდებს და კარგახანს ზის ასე ჩაფიქრებუ-
ლი. შემდეგ, მოულოდნელად დაარღვევს
სიჩუმეს:

—ცოლშვილი გყავს?
—შვილები კი, ცოლი არა.
უსათვალეობო კაცი კიდევ დიდხანს ფიქ-
რობს.

—გააგდეთ?—იკითხაუს ბოლოს.
—არა, გარდამეცვალა.
—რამდენი ხნის გყავდათ ბავშვები, როცა
ცოლი გარდაგეცვალათ?

—ერთი შვილის, მეორე ექვსის. მესამე
ხუთის, მეოთხე ოთხის. მეხუთე სამის, მეექ-
ვსე ორის. მეშვიდე ერთის, მერვეზე გარ-
დაიცვალა.

—რატომ? გიღლო ხომ არ ეცოტავა?
—არა, მძიმე მშობიარობას ვერ გაუძლო.
თქვენ საბავშვო ბაღის გამგედ უნდა წახ-
ვიდეთ.

—ვერ შევძლებ, ამხანაგო, მე სპეციალო-
ბით ნავთის გამყიდველი ვარ.

—ვერ შესძლებთ! უჭამაგიროთ რვა
ბავშვს უვლით და ჯამაგირით ოც ბავშვს
ვერ მოუვლით?

—ბავშვებს ჩემი და უვლის. თუ გნებათ
ის გააგზავნეთ ამ საქმეზე. დამსახურებუ-
ლი აღმზრდელია და ამჟამად გარაყის გამ-
გედ მუშაობს.

—მერე რა, წუნობს გარაყის გამგეობას?
ჩვენს ქვეყანაში არცერთი პროფესია არ
არის დამაძრახისი. ეს წარსულია, ნარჩენია
და უნდა აღმოფხვრათ კაცის გოგრიდან...

უსათვალეობო კაცი ულაპარაკოთ წერს
საგზურს და აგზავნის ნავთის გამყიდველს
საბავშვო ბაღის გამგეთ. ცოტა ხნის შემდეგ
კვლავ იძლევა განკარგულებას და შემოდის
სხვა მოქალაქე.

—მობრძანდით, სამსახური გინდა?
—ღიას.

—სად დათხუბნულხარ ასე?
—შემთხვევით მოხდა.

—რა შემთხვევით?
—გზაზე რომ მოვდიოდი, ვიღაცის სახლს
ხანძარი გასჩენოდა და ჩავაქრე.

—შენ რას ერეოდი, სახანძრო რაზმი იქ
არ იყო!

—დაავიანდით, ისე მე თითონ მეხანძრე
ვარ.

—სულ ჩააქრე?
—სულ, გადავარჩინე დაწვას.

უსათვალეობო კაცი მოულოდნელად უხ-
ვევს თემას:

—თქვენ ნავთის წერტის გამგეთ უნდა გა-
გაგზავნოთ.

—კი მაგრამ მე სპეციალობით მეხანძრე
ვარ.

—ხო და ძალიან კეთილი, სწორედ იმი-
ტომ გაგზავნი ნავთის გამგეთ. სხვა
რომ გაუშვია იქნება ხანძარიც კი გა-
აჩინოს საწყობში! შენ მოუფრთხილდები,
ხანძარი არ გაგიჩნდება. ხანძარი, ამხანაგო,
მანამ არის საშიში ვიდრე გაჩნდება, თვა-
რა მერე რა ეშმაკი ჩააქრობს.

—აგერ გარეთ ამხანაგი მიცდის, წინათ
ნავთის გამყიდველად მუშაობდა. იმასაც უნ-
და სამუშაო იქნება...



თქვენ სხვის შესახებ რატომ სწუხდე-
ბით. იმასაც მიცემთ სამუშაოს. საბჭოთა
ქვეყანაში არც ერთი პროფესია სათაკილო
არ არის. ეს წარსულის ნარჩენია და უნდა
აღმოფხვრათ კაცის გოგრიდან.

უსათვალეობო კაცი ხმაშოულებლივ წერს
საგზურს და აგზავნის მეხანძრეს ნავთის
გამყიდველად. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ
იძლევა განკარგულებას და შემოდის სხვა
მოქალაქე. უსათვალეობო კაცი, არ ვიცი რის
გამო, ამასთან უფრო თავაზიანია:

—გაგიძარჯოს, ამხანაგო!
—გამარჯობათ.

—სამუშაო გინდათ?
—ღიას. ორი თვით სამუშაოქმედო დასვე-
ნებაში ვიყავი და ახლა მინდა ისევ სამსა-
ხური დავიწყო.

—ერთი ეს მითხარი, ნავთის ბევრი ქაფი
რჩება ჩამოსხმის დროს?

—არ ვიცი, როგორც ამობენ. ასე უნდა
იყოს.

—ისე ნავთი ჯობია საწვავათ, თუ ნახ-
შირი?

—ყველას თავისი დანიშნულება აქვს.
—ჩასაქრობად რომელი უფრო ადვილია?

—რა მოგახსენოთ!
—იცი რა, მე თქვენ მეხანძრედ უნდა
გაგზავნოთ.

—კი, მაგრამ მე პროფესიით კომპოზიტო-
რი ვარ! ღირიფორის ადგილი მინდოდა შო-
გეცათ.

—ღირიფორი რაღა არის?
—ორკესტრის ხელმძღვანელი.

—შე კაცო, სად გვყავს ორკესტრის ხელ-
მძღვანელად მოსაცდენი კადრები, რომელი-
მე მუზიკანტი უხელმძღვანელებს.

—კი, მაგრამ ეს ხელმძღვანელობა ძალიან
რთულია, რიგითი დამკვერელი ვერ შეს-
ძლებს.

—რა? ხელმძღვანელობას?
—ღიას, ორკესტრის წაყვანას. ეს ცალკე
პროფესიაა.

—მოიცა, ეგ იმას ხომ არ ქვიან ჯოხი
რომ უკავია და ჩქარ-ჩქარა აქნევს ხოლმე?
—ღიას.

—ხო და სწორედ მეხანძრეთ იქნებით
მისწრება. ხანძრის ჩაქრობა ხელის სისწრა-
ფეზე დამოკიდებული, მეტი კი არაფერი.
ჯოხის ქნევას, შე კაცო, ყველა კი შეს-
ძლებს.

—კი მაგრამ... ჩემი ღირიფორად გამოყე-
ნება უფრო აჯობებდა.

ეს ჩვენ უფრო ვიცით. სადაც უფრო
გვეჭირდება კადრები იქ გამოვიყენებთ. შე
კაცო, მე თითონ საპნის ოსტატი ვარ ხე-
ლობით, მაგრამ ხომ ხედავ სად ვზივარ!...

მოთხრობის დასასრულს, მკითხველის ყუ-
რადლება მინდა შევაჩერო ერთ პატარა ამ-
ბავზე: ეს მოთხრობა ჯერ მანქანაზეც არ
იყო გადაბეჭდილი, რომ ასეთი სურათის
მოშმე გავხდი:

შახანძრო რაზმის სადარაჯო ოთახის წინ,
საიდანაც ვიოლინოზე დაკრულ „პაქარნი
მარშის“ სასიამოვნო ხმა გამოდიოდა, ჩაი-
რა ჩვენთვის უკვე ნაცნობმა უსათვალეობო
კაცმა, ავტორის სურვილის თანახმად შეხვ-
და ვიოლინოს დამკვერელს, მის მიერვე სამ-
სახურში გაგზავნილ ღირიფორ—„მეხანძ-
რეს“ და მათ შორის ასეთი დიალოგი გაი-
მართა:


—რა კი ხმა აქვს მაგ შენ კრიბკას...
—ღიას, მაგრამ თქვენ მე დამლუბეთ... იქ-
ნებ ჩემს შესაფერის სამუშაოზე გადამიყ-
ვანოთ...

—ეჰ, შენ გაიხარე, მე თითონ სამუშაოს
დავეძებ... დაუჯარ, რა კარგი ხმა აქვს...

გ. ივანიშვილი.

ნახ. მ. ლებეშვიცა

„ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მომხარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სსკ კ.ბ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მთელს რესპუბლიკაში გაცხიფლებული მუშაობა სწარმოებს.“



— დედიკო, ახლა მაინც გაახსენეთ ხარეწაო კოპერაციას შიბაქი შეხახებ, ხხვა არა იყოსრა უხერხულია ამხელა ჩიბუხის ხმარება!

იასონი შეატყინეს

ძალიან ცხელი დღე დააყენა იასონ კვიმსაძემ სავაჭრო დარგის ზოგიერთ მუშაკებს.

— იცოდეთ არ მოგიტმენთ, — ყვიროდა იგი, — მე როგორც ინსპექტორი არ მოგიტმენთ ფასების დარღვევას!

— არაფერს გაბედოს სამრეწველო საქონლის განიყვება, — კიდეც ყვიროდა ამხანაგი იასონი, — მე, შემჩნეული მაქვს, რომ რაც კარგი რამ მოდის მაღაზიებში, თქვენ მაშინვე სახლში მიგაქვთ.

— ფართო მომხმარებელი უპირველეს ყოვლისა! — აი ჩემი ღევიზი, — ამასაც ყვიროდა ჩვენი იასონი.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ იასონი მართლაც მკაცრ კონტროლს უწევდა ყველას და ჩვენს პატარა ლამაზ ქალაქში გაჩაღდა კულტურული ვაჭრობა. ყველა კმაყოფილი იყო, მხოლოდ ცხვირები ჩამოეშვათ ზოგიერთ ნოქრებს, მაღაზიის გამგეებს და გადამყიდველებს.

— ესე იგი, რა გამოდის ახლა აქედან? — კითხულობდა ერთი მათგანი.

— ის გამოდის, ჩემო ძმაო, რომ სახლის მშენებლობა რომ წამოვიწყე, ახლა უნდა შევაჩერო.

— როილის ყიდვას რომ შეგვირდი ჩემს ქსენიას, გამოდის რომ ვეღარ ვუყიდი.

— მაგასაც ვნახავთ.

— რომ შემოაცვლება ტანზე კოატუმი, მაშინ ხომ მომადგება. მაშინვე ასე მივახლი: ახ, ძვირფასო ინსპექტორო. ყველაფერი ფართო მომხმარებელმა წაიღო მეთქი!

გავიდა დრო და ეამი.

კოოპერაციის ვირთხები კვლავ შეიკრიბნენ.

— ან ჩვენ, ან ის! — ცხარობდა ერთი.

— გინდათ დაგხვდები აგერ ხილის ყურეში და ერთს მაგარი მივბეგვავ!

— დააღუმეთ ენა თქვე ყეყეჩებო. მაშინაც ტუტუტუ ვიყავი რომ დაგიჭრეთ. რა ჩავიღინეთ ჩვენ? ის ჩავიღინეთ, რომ ინსპექტორს არავითარ პატივს არ ვსცემდით, რაც კარგი რამ მოგვდიოდა არ ვატყობინებდით. რა გამოგვივიდა მერე? ის გამოგვივიდა, რომ ის კაცი ძველებურად გვაძრობს ტყაქს...

— აბა, როგორ უნდა მოვიქცეთ!

— როგორ და პირიქით, ყველაფერი უნდა გავატანოთ, ზოგჯერ ნისიაც მივსცეთ. დაუშვათ მოგვივიდა პატეფონი, ჩვენ ვიტყვი: „ახ, ძვირფასო იასონ, პატეფონი მოსკოვიდან მოგვივიდა, რაღაც განსაკუთრებული“... ხომ გესმით!

— ეს მართალია. ასეთი გზით უფრო მალე ავიღებთ მაგისტანა კერძს, ოღონდ ნუ ვიქნებით ყეყეჩები.

ამის შემდეგ ვირთაგვებმა უცებ შესცვალეს თავიანთი პოლიტიკა და იასონს სულ სხვანაირად შემოუტყეს.

— ძვირფასო იასონ, ბეწვეული მივიღეთ, აუცილებლად უნდა შეიძინოთ!

და ამხანაგი იასონი, ყოველგვარი ეშმაკობის გარეშე, ნაღდი ფულის გადახდით იძენდა თავის საჭიროებისათვის აღნიშნულ საქონელს.

ჩიბე საფუძვლიანად შეუთხელდა იასონს. ასე რომ, როცა მაღაზიამ ველოსიპედები მიიღო, მან უარი განაცხადა მის ყიდვაზე.

— სად მაქვს ეცო ამდენი ფული! — სთქვა მან.

— თქვე დალოცვილო, წაიღეთ ნისიად და როცა გექნებათ. გადაიხდით, მაგაზე რამ დაგალონათ! — ეუბნება ნოქარი, რომელიც შემდეგ სიხარულით მოახსენებს კოლეგებს:

— ციხე-სიმაგრე აღებულია, ნისიად წაიღო!

იასონი ნაღად მარცხდებოდა.

ერთხელ მას ასეთი წინადადებითაც მიმართეს:

— ეცო, რამდენი წელია ამ ქალაქში ხართ და ნაჭირავებ სახლში სცხოვრობთ. როდემდე აპირებთ ასე — ცოლშვილი არ გებრალემათ?

— აბა, მამ სახლს ვინ მაჩუქებს! მე ხომ სტახანოველი არ ვარ.

— არ გაჩუქებს და უნდა თქვე თვითონ აიშენოთ.

— ეს როგორ მოხდება! შეუძლებელია.

— არაფერიც არ არის შეუძლებელი.

და მალე ერთერთ კობტა ეზოში გაჩნდა საშენი მასალა. იასონი შეება მშენებლობას და რახან შეება გატაცებით იწყო მოქმედება. ფული ბლომად იყო საჭირო: ახალ მეგობრებს დაესესხა. მათაც უარი არ უთქვამთ. შემდეგ ნისიად შეძენილი ნივთები გაყიდა.

— კეთილი ხალხია! — ფიქრობდა იასონი თავის ახალ „მეგობრებზე“.

ვირთაგვები ერთხელ კიდეც შეიკრიბნენ.

— მგონი დროა ვიმოქმედოთ! — მოახსენებს ერთი.

— მართლაც დროა, — უდასტურებს მეორე.

დიდი განცხადება დაიწერა. აღწერილ იქნა იასონის გაიძვერობანი, თუ როგორ სარგებლობს იგი თანამდებობით, მიაქვს ნისიად საქონელი, ფულს აიარ აბრუნებს, ეწევა გადამყიდობას და ასე შემდეგ.

— „მთავარი ის არის, — ეწერა განცხადებაში, — რომ ეს ვაებატონი სახლსაც კი იშენებს ასეთი ნაღლეტი ფულებით!“

ადგილობრივ ორგანიზაციებს ამ განცხადების შეტანამდეც პქონდა შემჩნეული ზოგი რამ იასონ კვიმსაძის შესახებ. შეიქნა კვლევა-ძიება.

შედგვი მეტად მარტივი იყო:

იასონმა დაპყარვა სამსახური, იასონმა დაპყარვა ახლად დამთავრებული სახლი — იგი მას ჩამოერთვა, იასონმა ახალი ბინა იშოვა — ციხეში...

მართალია „ვირთაგვების“ პროვოკაციაც არ დარჩა შეუმჩნეველი, ბევრ მათგანს აეკრძალა სავაჭრო დარგში მუშაობა. ბევრი პასუხისმგებელიც იქნა მიცემული...

მაგრამ იასონს ამან ვერ უშველა.

გენო ლიაძე



პიონერი: ვინ მღერის, ძია?
კაპიტანი: დივერსანტი.
პიონერი: დივერსანტი? შერე და მესაზღვრეები რატომ არ ეხვრიან?
კაპიტანი: ჯერ არ შეიძლება, არია შეეშლება.

სოლი და რანსეხულება

ცნობილია, რომ ქალებს უდიდესი გავლენა მოუხდენიათ ისტორიული ამბების განვითარებაზე. მაგალითად, ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ტროადას დაღუპვის მიზეზი იყო მშვენიერი ელენე, რომელმაც მიატოვა ქმარი და გაჰყვა ტროადელ ვაჟს. ძველი რომის იმპერიის დაღუპვაში, როგორც ზოგიერთი ისტორიკოსი გადმოგვცემს, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგვიპტის დედოფალმა კლეოპატრამ, რომელიც შეიყვარა რომის სარდალმა ანტონიუსმა. არის სხვა მაგალითებიც.

რა თქმა უნდა, იპატი ჩიძის ცოლს ეფროსინეს არა აქვს ელენესა და კლეოპატრას პრეტენზიები, მაგრამ მას მაინც უდიდესი გავლენა აქვს თავისი ქმრის დაწესებულებაზე.

—რომელია შენი ტელეფონის ნომერი? — ჰკითხა ეფროსინემ იპატის, როცა ამ უკანასკნელმა ცოლს უამბო იმის შესახებ, რომ ის უკვე შეუდგა მუშაობას არტელში.

—ტელეფონი არა გვაქვს! — გულუბრყვილად მოუგო იპატიმ.

—რაო? უტელეფონო დაწესებულების უფროსი ხარ? ტელეფონი დასუფთავების ტრესტის რაიონული განყოფილების ქვეგანყოფილებაშია? კი აქვს!... ასეთი რა უსუსური დაწესებულებაა? ხვალდანვე შეუდექი ტელეფონის დადგმას! — მისცა მითითება ქმარს ცოლმა.

წარმოიდგინეთ თქვენ — რამდენი დავიდარაბა და წამება დასჭირდებოდა იპატის ამ საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ იპატიმ მაინც შეასრულა ცოლის მითითება.

—დაწესებულებაში რა შავ ქვად მინდა ტელეფონი, თუ კი ბინაზე არ მექნება?

უეჭველად ბინაზეც უნდა დაადგმევიო! — კიდევ უფრო კატეგორიულად მოითხოვა ეფროსინემ. არ გააქიანურო ეს საქმე შენებურად.

—არა, არა გენაცვალე... დავდგამ... უეჭველად!

და თქვენ როგორ გგონიათ? ათი დღის შემდეგ ეფროსინეს ტელეფონი ედგა ბინაზე. არ გჯერათ? აი, დარეკეთ 3-904-010 და თქვენ მილში მოგვსმით:

—ალოო... დიახ, ჩიძის ბინაა... ეფროსინე...

უხაროდა იპატისაც და ფიქრობდა: —აწი რაღა უნდა მომთხოვოს ისეთი, რომ... — და სწორედ ამას ფიქრობდა კმაყოფილი იპატი, რომ ეფროსინემ უთხრა:

—იპატი, ხვალ აბანოში უნდა წავიდე და მანქანა გამომიგზავნე.

იპატიმ გაიღიმა. მას ეგონა, რომ ცოლი ეხუმრებოდა. თუმცა ეფროსინემაც იცოდა, რომ იპატის დაწესებულებას ავტო არ ჰქონდა, მაგრამ ქმარს მაინც შეუთია:

—რა გაცინებს?

—გენაცვალე, ჩვენ არა გვაქვს ავტო, თორემ...

—რაო! ისეთი რა ჩამორჩენილი დაწესებულებაა რომ ავტო არა გვაქვს! ხვალდანვე შეუდექი მანქანის შეძენას.

იპატიმ მორიდებული ხუმრობით მხედრულად ხელი აუღო:

—არის ბატონო.

იპატიმ დაიწყო ბრძოლა მანქანისათვის. წარმოიდგინეთ, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, იპატის სიხარული, როცა მან ცოლს უპატაკა მანქანის შეძენის შესახებ. თქვენ არ გჯერათ ეს ამბავი, რომ იპატიმ მართლა

შეიძინა ავტო? აბა ვისია ავტო, რომელიც ჩვენი ქუჩის შესახვევში დღეში ათჯერ მაინც ავიქროლ-ჩაგიქროლებთ ხოლმე? ნუ თუ არ დაგინახავთ იპატი დღის 12 საათზე ავტოში ქათმით?

ეროვნული

ის ბაზრიდან ბრუნდება. ცოლმა დაუთქვა: —ქათამი იყიდე ბაზარში და მომიტანე... აი, თუნდაც გაჩერდით აბანოსთან და თქვენ ნახავთ, რომ იპატის ცოლი და მისი ბებია მანქანიდან გადმოვლენ და შევლენ აბანოში. ჰკითხეთ შოფერს, რომელიც აბანოსთან მთელ საათს დგას და ის გიპასუხებს:

—ჩვენი არტელის უფროსის — იპატი ჩიძის ცოლია და მისი ბებია...

—ერთი უნდა ვნახო შენი დაწესებულება! — უთხრა ერთხელ ეფროსინემ იპატის.

მეორე დღესვე იპატი შეუდგა დაწესებულების შენობის კაპიტალურ რემონტს. ფეხზე დააყენა ყველა თანამშრომელი, რომ რემონტი სასწრაფოდ დაემთავრებინა.

—ხვალ რევიზია მოდის. ყველამ კარგად ჩაიციეთ, თავაზიანად დაიჭირეთ თავი. დაუკითხავად ნუ შემოხვალთ ჩემთან! — დაარიჯა იპატიმ თანამშრომლები.

მეორე დღეს დაწესებულებას ესტუმრა ეფროსინე.

იპატი შემოსასვლელში შეეგება ეფროსინეს და თავის კაბინეტში შეუძღვა.

—რევიზია მოვიდა! — ფეხზე იდგა მთელი არტელი.

წასვლისას ეფროსინემ უფრო სერიოზულად აათვალიერა ყველაფერი და სათითაოდ გადახედა თანამშრომლებს, რომლებიც ფეხზე იდგნენ „რევიზორის“ პატივსაცემად.

—კი მაგრამ, ეს რავარი რევიზია იყო, ამხანაგო იპატი? — ჰკითხა ერთმა თანამშრომელმა იპატის, ეფროსინეს წასვლის შემდეგ.

—რისი რევიზია!... ეს ჩემი ცოლი იყო.

—როგორ... რევიზია თქვენი ცოლი იყო? — დაბნეულად შეეკითხა მეორე თანამშრომელი.

—რევიზია აღარ მოდის... ყველაფერი კარგად გაქვსო და რევიზია არ არის საჭიროო! — აბნეულად ჩაილაპარაკა იპატიმ და თავის კაბინეტში შევიდა.

ერთხელ იპატის რაიონში მოუხდა წასვლა — რამდენიმე დღით. ეფროსინემ დღეში თითო საათით შეივლიდა არტელში, აათვალიერა-ჩათვალიერებდა იქაურობას.

—თუ სერიოზული რამე საქმე დარჩეს, დამირეკეთ, შემძატუობინეთ! — დაიბარებდა ხოლმე ის წასვლისას.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ „იპატის“ არტელს მართლაც რევიზია ეწვია. გადახედ-გადმოხედეს საქმეებს და დასკვნა დასწერეს.

—ეფროსინე ახლა რაღა ვქნათ? — შეეკითხა მეორე დღით იპატი.

—თავს ივდებ? — მრისხანედ შეუთია ეფროსინემ, — ის ქენი, რომ რამდენჯერად გამოუძვეერი მაგ ხათაბალას და ახალ დაწესებულებაში მოეწყვე, ოღონდ ისე კი, რომ მანქანა ახალი უნდა იყოს.

რევიზიის განაჩენით რეტლასხმული იპატი ცრემლმორეული ისმენდა ცოლის ახალ განაჩენს.

ისელი



(კუპლებები)

ჩვენი ძეგლი, რაც ლუდს ჰყვითის, ძირსედრევილ ჩაფითაო, — ჭიოღობა შეუფერდა ზურნითა და დაფითაო, ორი სახლი აიშენა — ერთი კიქის ჭაფითაო.

ქუჩის ვლექტრო საათზე ვერ შევიტყე უამიო: წინ შევხედავ — ცხრა მჩივნებს. ჯვან ვნახავ — სამიო, მის გრაფიკის გადაწყვიდე ცხრაჯერ მომხსნეს — ძამიო!

სოფლიდან ჩამომიყვანა ნათლიდედამ წიწილაო, — სტუმრად ისე დიდნანს დარჩა — გამიწყვიტა სინსილაო: წასულას აღარ ვპირებო, ჩემი ბინაც იწილაო.

მიყვარდა და ახლაც მიყვარს ავაკი და ილიაო, ვასცენარებ, რაც კი ჰქონდათ იმათ მოგონილიაო, მე ჰონორარის ვიჩხრიალებ — მათ არ ერგათ წვლილიაო.

ძველმანამ — ესტრადიდან თავი დაგვიკანტურაო: და ძველი რებერტუარი გვიძღვნა ყურებბანტურაო, — ტაში ბლომად შევაწიეთ, თუმც მოგვიქვანა ხალტურაო.

ავათ გავნდი, დავილიე, დავემსგავსე მინასაო, სამკურნალოდ დავუძახე ამ ჩვენს ექიმს ზინასაო, გული მტკივა, ის კი წამლად ფეხზე მადებს ინასაო!

ტრამვაზე, კონდუქტორის ჩაბარეს პოსტი — ზინოს: იმავე დღეს გადასწვიტა სულ ნოხები შეიძინოს, ქალიშვილსაც მზითვად ატანს შაურის პიანინოს!

ერთ რაიონის თეატრში წარმოდგენის ნახვა ვცადე: რებერტუარის ცოდვითა მძიმე ტანჯვა განვიცადე, მარტო ყოფნამ შემაშინა სპექტაკლს ვეღარ დაუცადე...

წინათ ხარმაც იპობონდრე იყო თითქმის ტიტველიო, — გუშინ ვნახე, ქსოვილებით გავტენა გიდელიო, — ვიკითხე და მიპასუხეს: — გახლავს გადამყიდველიო.

წყალინაყვმ ჩვენს თეატრში როგორ ფესვი გაიდგათ: ხავეტორო ავანსების წინ გორები დაიდგათ: თუმც თვეში ცხრა პიესას სწერს — არც ერთი არ დაიდგათ.

რედაქტორი თავის კაბინეტში, შემოსულ ლაპარაკ რედაქტორმა: — როგორ გავაყოფილებთ ჩვენი ყურნალის მსახურს? — თუ არა ფართო ადგილი... თქვენის შეხედულებით, რა ნაკლის გამოსწორება იქნებოდა საჭირო? ჩვენთვის ძვირფასია, როცა პირადად მკითხველს გულგახსნილად ვესაუბრებით, ვისმენტ მის შენიშვნებს. ეს დიდად გვიწყობს ხელს ჩვენი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. დიმილთ ეკითხებოდა რედაქტორი. — მე კმაყოფილი ვარ თქვენი ყურნალით, — წყნარად დაიწყო ჩამოსულმა. — ამ ბოლო ხანებში უფრო მეტი ყურადღება ექცევა რაიონს. თქვენი ყურნალის საშუალებით: მრავალი ნაკლი იქნა მხილებული და გამოსწორებული ჩვენს რაიონშიც... მე მხოლოდ ერთ საკითხზე მოვედი თქვენთანადა იმედია, თქვენ მაინც მხილებთ სათანადო ზომებს, რადგან, ჩემის ფიქრით, უკვე დროა მოისპოს ასეთი უგულვებელყოფა. სამი წერილი გამოვაგზავნე ამ საკითხზე და დღემდე ყურადღებას არავინ მაქცევს. — რაშია საქმე? — ყურადღებით შეეკითხა რედაქტორი. — საქმე იმაშია, რომ მე ვითხოვდი ყურნალის მიმართულების შეცვლას... — როგორ თუ მიმართულების? — გაიკვირვა რედაქტორმა და თან გაოცებით დასძინა: — გადარეულია ვილაც არის. — როგორ და როგორც წესი და რიგია. — კი მაგრამ მაინც გარკვევით ილაპარაკეთ მოქალაქეებზე? — პატივცემულო რედაქტორო, კიდევ გიმეორებთ: რომ კონკრეტული დამნაშავე, ყურადღებას არ მაქცევენ, ამიტომ პირადათ თქვენ გთხოვთ და იმედია მიიღებთ სათანადო ღონისძიებას, რომ... — კმარა! — გარკვევით სთქვიეთ. თუ რას ნიშნავს თქვენი უკბილო ხუმრობა? — ჩვენი მიმართულება ის არის რასაც გვისახავს პარტია, ჩვენი ქვეყანა, ხალხი, თქვენ კი აქ რაღაც მიმართულების შეცვლაზე ბედავთ ოხუნჯობას? — რას ბრძანებთ მხახავო რედაქტორო? — მე, სრულებით არ ვოხუნჯობ, სრულიად სერიოზულად გთხოვთ, რომ ჩემს მიერ გამოწერილ თქვენს ყურნალს შეუცვალოთ მიმართულება და ზესტაფონის მაგიერ ჩხარში მიგზავნოთ, რადგან უკვე დიდი ხანია, რაც იქ გადამიყვანეს სამუშაოდ. ამის შესახებ კი ბევრჯერ ვსთხოვე ვისაც ჭერარს და აქამდე ყურადღებას ვერ ვეღირსე. ამის შემდეგ ჩამოსულმა მოქალაქემ რედაქტორს გადასცა თავისი ახალი მისამართი. — კარგა ხნის სიჩუმე რედაქტორის საყვილურმა დაარღვია, რასაც გულიანი სიცილი მოჰყვა.

სად შოულობს?

ნახ. ღონისხა



— კაცო, ხად შოულობ ამ პაპირისს? — უკაცრავად, მე ვვიღუღობ მაღაზიაში, შოვნით კი — შენ შოულობ.

შანთი

ნან, გ. თოძინა



—ხედავ, როგორ ახალგაზრდას იმ გამოცდის დასრულებას
—სამაგრიტო მისი ხაზი დასრულებას.

მოგზაურთა შორის

ნან, დონა



—რა ვინა აღარ ვიცო, როგორც კი ხომალტის დაფიქსირებებს ჩემს
მეგობრებს ნივთები ეშვება, მივაგონებ და მალანდავ.
—მე ამ მხრივ არაფერი ვგრძნობ თავს.
—როგორ, კარგი მეგობრებ გაყავს?
—ძალიან კარგი! —ერუა.

ჩვენს ეზოში საშუალო აზრები მოხდა: სრულებით მოულოდნელად გარდაცვალა ჯერ კიდევ ჩანდნით სასუქ პენსიონერი, რომელსაც არც შეგვიძინებდა და არც მასობრივად არ ღირსეულობდა. რა გულისხმობს? ჩვენ აქ არა ვართ? მთელმა ეზომ კოლექტიურად იმსჯელა დაკარგულს ორგანიზაციულ მხარეებზე და არა ჩიხა სათანადო კომპია.

დასწავლას ღებინებდა ბოლოში მიცვალბულთან, მაგრამ რა დაე ემსახურა, კომისიის თავმჯდომარედ, აქა და გულმჯდომარეობა კაცი ხართ, მე ამირჩივს. განაბნა ვიყო გულმჯდომარეობა. ხელად გავეციე სახესი განყოფილებაში.

—მე თქვენ ამბობთ, გამოვეცალა ხელიდან? სსიამოვნო...
—შითხვა ვიდე თამბუქოვსა და მთხედრად.
—როგორ თუ სსიამოვნო?
—ესე იგი... საშუალო... შერე რა გნებავთ?
—რა მენებას? მომეცით, რაც ეკუთვნის პენსიონერს ამ შემთხვევაში.

—რომელ შემთხვევაში?
—გარდაცვალების შემთხვევაში.
—ამ შემთხვევაში მოვეცარნეთ გარდაცვალების სათანადო მოწოდებები და იმ შემთხვევაში, თუ ეს გარდაცვალება სათანადო მეთოდებზე იქნება, მოგარამეცო.

გამოვიცეი. მთელი დღე ვიზინებ სათანადო მოწოდებებისათვის და მთელი დღე ვუცდი მივიღე.

—ჩემ დავეიერეუქნი, —თავიზით მითხრა თამბუქოვსა და მთხედრად, —თუ ვინმე გამოვარდნო, ნუ დაგვირგობო.

წამოვიდი. ტრამვაის შევხვტი და დამკარალავ ბიუროში ამოვიყვი თავი. იქ დავლამწვიდებთ მომსახურებს და მითხრეს, წადი, ჯერ მშპის ცნობა აიღო.

წამოვიდი მშპში. საქმისმარამთებელმა შეუძღვრა დაამთავრა, ა, დაამთავრა და მომიხრინდა.

—რითათ თუ ცერებო? —მეოხა კვლევსა.

—გამოვიცალა ხელიდან... —ტრადიციულ წიბო დავიწყე მე— ერთადერთი პენსიონერი მთელს ეზოში... გვეყრება სახელმწიფო...
—მე რა გრცხვინათ, პენსიონერი კოვს ეყრებო? მოხუც კალს სტრუბო? აჩი თქვენ ვინდა წამოვიყვანო?

ნახტვარი საათის შემდეგ, როცა ამასაც გაეგებინე საქმის ნაშედეგი ვითარება, კვლევსა სტრატად მომიხრია:

—გამართლით მოწმობა ამბულატორიას.

ვინაიდან დასმებული იყო, მხოლოდ მეორე დღით მივიდი ამბულატორიაში და ჩვენი შეკრბული ექიმი მოგხატა.

—აი, რა ვითხარა, გეოთყვა, —შითხრა სასამართლო ექიმმა, —ერთი რომ საჭიროა სასამართლოებლის მოწმობა და შემდეგ გამოირკვევა იმისა, თუ რით გარდაცვალა.

—მე თქვენ ჩემზე ვუთო მოცხვინებთა, გულის ცემის შეჩ...
—რა თქმა უნდა, რაცა აღიამინ კვლბა, გულისცემა ჩერდება, მაგრამ იქნება აქ სხვა ფაქტორებზე მოქმედონდნ? იქნებ იყო ანემია, ანდრეოქო, პნევმონია, პერიტონიტი, პეპტიტი, გასტროპაროზის, პოლუციტიტი, კოლტის ან... უცვანა ჰეგლა. ასე რომ საჭირო იქნება ავადმყოფ მიცვალბულის განკვეთა... ჯერ კი სახლმართელით მოინახუ.

სასამართლო მონახოთ ადვილი სათქმელად ბინის ქირის დაეაინება რომ გვერდეს, მინინ ჰო, დილდან საღამომდე ეზოში იქნებოდა, მაგრამ ამ ჩვენს მდგომარეობა ერთადერთი წინასწარ უწყობი დული. სწორედ ამ მიზეზით სასამართლოებლი ერთადერთად გადამარჯვლებოდა და მხოლოდ მესმად დღეს აღმოვაჩინეთ იგი მე და ჩვენგან მეგობრებ.

—ნიანობრა, ჩვენი პენსიონერი გარდაიცვალა! —მიუესამძიბრე მე.

—გარდაიცვალა? ნუ გადამბოძო კაცი!
—გუთნებში მოყვლა.

—კარგი ერთი, შევეშობი უკუიდან.
—კაცო, საღამოთაოდ არ მცვლია, გარდაიცვალა მეოთხე.

—ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავიჭერებ მაგას.
—ვერ დავიჭერებ და ანასინი შენს სახეს. წადი და ნახე, ეგა რაა გამოიტკბო—შეუცვირა მეუხოვემ.
მხოლოდ მაშინ დარწმუნდა ნიანობრა და დავიჭერა.
—აბა, ახლა გვერითა ვეცავსო, რომ არ შევიცხვით—სთქვა მან.

—როგორ?
—როგორ და თოხი არ დავკარგოთ. თუ ახლავე არ მიხვდით, ვინმე ნაოხასაღბება და დავიღუპე კაცი. მე რე ჩემს ბიძა-შვილს შეგზობდი მაგ თოხს. მარა ასე ადრე თუ მოცვლბოდა, რა ვცდიდი, ჩანიინი კაცი იყო...
თურბე ამას თავისი საქმე აწუხებეს! როგორც იქნა, მოხვეცა სათანადო მოწმობა და წამოვიდი.

ქილან მე ისევ ამბულატორიაში წავიდი, ამბულატორიდან მშპში, მშპიდან დამკარალავ ბიუროში, ბიუროდან სასაქონლოზე —სასაქონლოს განყოფილან.

ეს უკვე ვითხედ დღე იყო.
—საშუალოდ, ადგილი არა გავცეს, —შითხრა გამეგმ.
—როგორ თუ არა გავცემ?
—ის... რაც კარგი აღვიღებთ იყო, წადის. მაგრამ თქვენ მოგზაობს, თქვამა...
—ხელდასხვად, საწვავ-საქვები მასალა იყო საჭირო და ჩიბეს ვავიარა ხელი. ამისა და აგრევე იმის შემდეგ, რაც მესალდა დავიჭერე ადვკტურე სათანადო მასალებით, ადვილი მათევენს და დამწვიდბული წამოვიდი.

ახლა მუსკა იყო საჭირო. მივაკითხე მუსკოსი ბიუროს.

—შობანი დავკრბობათ?
—ესათოდ.
—მეთოხინ?
—აუცილებლად.
—„თავი ჩემო“?
—მუცისობა, როგორ შეიძლება?

მეფიხებოდა რა ამას, ჩემი მიძღები ჩოთქში ავღებდა ქვეშ და ბილას, დიხაც რომ სოლიდური თანხა დამსახებულა დვე-თანხებ.

საღვთ-ვაკული მივიდი შინ. ეზოში დიდი ჟრიაბული იდგა. ვილც საბან-მოხურული შემდარაფიო კიბებუ და დინჯად ამბობდა:

—მე ამას ვერ მოვიტმენს ქროლბა, მართალია, დიდი არაა, მაგრამ მაინც ჭრილობას იმის მავიერად, რომ აღმოვინი მოსაყვე-ნონ, დანსა უყრიან მუცლისა. მე ამას ასე არ დეტოვებ... ამას გარდა, მე სასამართლოებლს მასობრივებში მივცემ აქ ვუქს ვუ-ლბა დაარღვის ბინის ხელმუხებლობა! აქ მაშინ, როდესაც მთელმა ჩვენმა ეზომ ასეთი გულსამიერიება გამოიჩინა...

უფრო აღარ დამიგლია. ჩემდ შევიძარე მიცვალბულის თოხანში, სადღე მოკრული ბარგი დამიხვდა. მიცვალბული აღარსად იყო, ალბათ ვაესვენებოთ. ჯერ კი მუსკაც არ იყო მოცვალბული.

—რა უყვით იმ კაცს? —მივბარეუ შემოხულ მეცხოვს—სად არის მიცვალბული?

—სიტყვის ამბობა—სთქვა მეგზურამ და გადინახარბარა.

თურბე ჩვენს განსვენებულ პენსიონერს აზრადაც არ მოსცულია გარდაცვლბა. იგი ე. წ. უტარაგულ ანუ საღათას ძილში ვიფლსავე ვაყრჩვინებ გამოდიქობა.

ამის შემდეგ ვავიარა მას სასამართლოების ოინი, რომელსაც თავისი ნათესავი შეესახებინა მიცვალბულის ჯერ კიდევ გაუთავ-ისუფლებულ თოხანში.

ჰო და, გაყრებული „მიცვალბული“ ეზოში იდგა კიბებზე მალბობას უხლდა მთელს ეზოს და დარბაისლური კილოთი, აუღლებულად ჰკიცხვდა როგორც უღანაშუალო ექიმი, ისევე ჩვენს სასამართლოებლი ნიკაიონსაც.

მას რომ სიკონდობა, რა დღე დამადა მე მისი დაქრბალების ორგანიზაციებზე, წამოხდებელი მაქვს, როგორ აყვირებოდა!

ალ. მალბულარინი.


ნან, გ. თოძინა



—იმხანაგო სახმეოთა მწარმოებელი, ამ შენისას გრამთეში დაამთავრებთ?
—იო ურწმუნო თომა: ორი ხელისა, ვეუტუნება, ორ კვირაში მხად შექნება მიტო, ამას მანაც არ აჯერა.

თავგარი

ნან, დონა



—ჩათ მიღებარ, ჯერ მის ორი მოქმედება, კიდევ დარჩა?
—სწორედ იმიტომ მივდებარ, რომ კიდევ ორი მოქმედება დარჩა.

სიბნელის ბრალია

(ტყუბულის მატარებელი)

მატარებელში აბსოლუტური სიბნელეა. ერთ კუთხეში ახალ-გაზრდა ქალ-ვაჯი ერთმანეთს დიდის სიყვარულით ეხვევა. შემდეგ ვაჯი ყურში ჩასჩურჩულებს: „ჩემო ძვირფასო!“

ქალს ეს ხმა ძალზე ეუცხთვება:

— გივი, რად მელაპარაკები გამოცვლილი ხმით?

— მე გივი არ ვარ! — უცებ 'ხვდება ვაჯიც თავის შეცდო-

მას. — მაგრამ მგონი არც თქვენ ხართ ქეთინო.

ასანთს გაჰკრავს:

— უი, ღმერთო ამოძაძვრე სული! თვეუი ძე შემაცდინეთ ყმაწვილო კაცო. მე ჩემი გივი მეგონეთ. თქვენ მგონი, მკოცნი-ლით, ეს თაღლითობაა!

— მეც ხომ ჩემი ქეთინო მეგონეთ, რად ლელავთ. დამნაშავეა სიბნელე! თქვენც ხომ მკოცნილით...

მეორე კუთხეში:

— რას შვრები კაცო, თავზე მაჯდები?

— ბავშვი არ გასრისოთ, როგორ ნადირივით მოაბიჯებთ!

— იქით გაიარეთ, აქ ორსული ქალი წევს.

მესამე კუთხეში:

— დედაკაცო, ერთი ამ ბავშვს მიხედე, როგორღაც ბოხი ხმით ტირის.

— დავრღუპეთ, ბავშვი შეუცვლიათ.

— გოგო წაუყვანიათ და ბიჭი შემოუპარებიათ... არიქა კონ-დუქტორ, კონდუქტორ!

ხარჩოს კონფები

(ქუთაისი)

თქვენ გიჟამიათ, ალბად, მკითხველო, კონფები სახელწოდებ-ბით „კის-კის“, ან „ბარბარის“, ან კიდევ „ჭიკ-ჭიკ“, „ქუს-ქუს“ და ასე დაუსრულებლივ.

მაგრამ თქვენ ვერ დაიტრაბახებთ, რომ გეჟამოთ კონფები ასეთი სახელწოდებით „კუჭ-მაჭი“, ან „ბულღამა“, ან კიდევ „ჩახ-ოხ-ბილი“ და ასე შემდეგ.

მხოლოდ ქუთაისელ მოქალაქეებს ჰქონდათ ბედნიერება ჩა-ეტკბარუნებით პირი ახალი ასორტიმენტის კონფეტებით, როგო-რიცაა:



„ხარჩო ცხვრის“, „ნამდვილი ლილა“, „ყაურმა ჯივრის“, „ლობო ნიგვზით“ და სხვადასხვა.

ვთაყსებთ ცოტა გადიდებულა ფორმით აღნიშნული კონფე-ტების ნიმუშს.

ადვილი მისახვედრია, რომ ჰკუთს კოლოფებს კონფეტის გა-სახვევად გამოუყენებიათ საკონსერვო იარაღები.

ისმის კითხვა გამოდგება თუ არა თვით აღნიშნული კოლო-ფების ჰკუთ საკონსერვოდ?

არა. არ გამოდგება.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენში კონსერვს მხოლოდ სალი პროდუქტები-საგან ჰმზადებენ.



— დღეს გაუფრთხილებლობის მსხვერპლი გავხდი.

— როგორ?

— ტრამვაის საფეხურზე ვეკიდე პათიონად. მტაცებ ხელი და შიგ შემართივს, იძულებული გავხდი ვაგონში დამჯდარს წემ-გზავრა.

ისჯორიანი ანგლოზები

მიცკევიჩის გამოცდა

როგორც ცნობილია, მიცკევიჩი ერთ დროს იყო ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორად. მაგრამ სანამ კათედრას აიღებდა, იგი დიდხანს ყოყმანობდა და კინალამ უარი სთქვა კათედრაზე. საქმე შემდეგში იყო: უნივერსიტეტის წესების თანახმად, პროფე-სორის წოდების პრეტენდენტს გამოცდები უნდა ჩაებარებინა. მიცკევიჩი სათაჯილოდ სთვლიდა ამას და არ სურდა გამოცდების ჩაბარება.

ერთხელ პოეტი ერთმა დიდმა მოხელემ მიიწვია სადილზე. იქ იყო ლოზანის უნივერსიტეტის რამდენიმე პროფესორი. სტუმ-რებსა და მიცკევიჩს შორის გაიმართა დისკუსია ლათინურ სიტ-ყვიერებაზე—სწორედ იმ საგანზე, რომლის პროფესორადაც უნდა ყოფილიყო მიცკევიჩი.

დისკუსია გვიან ღამემდე გაგრძელდა. როცა სტუმრები წა-ვიდნენ, მასპინძელმა კარებამდე მიაცილა მიცკევიჩი და მიუ-ლოცა.

— გილოცავთ ბრწყინვალე პასუხებს, თქვენს სახელმწიფო გამოცდა მშვენივრად ჩატარდა.

— ჩემი გამოცდა?—გაუკვირდა პოეტს.

— დიახ. ჩემი სტუმრები შედიან საგამოცდო კომისიის შე-მადგენლობაში. ისინი მთელი საღამოს განმავლობაში გეკითხე-ნენ თქვენ და ერთხმად მოგანიჭეს პროფესორის წოდება.

როსინის წინადადება

იტალიელ კომპოზიტორ როსინის სიცოცხლეშივე მოხვეჭილი ჰქონდა სახელი. მილანის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა ძველი დაედგა მისთვის. კომპოზიტორთან დელეგაცია მივიდა და სთხოვა ნება დაერთო ძველის დადგმაზე.

— რა დაჯდება ძველი?—ჰკითხა კომპოზიტორმა

— სამი ათასი ლირა.

— მაშინ მე სხვა რაიმეს შემოგთავაზებთ,—უთხრა როსინიმ, — მაგ თანხას თუ მომცემთ, მზად ვარ სიკვდილამდე, ყოველდღე რამდენიმე საათს ვიდგე მილანის მთავარ მოედანზე.

მუხილი და წვიმა

სოკრატეს ცრლი ქსანტიბა ერთხელ, რაღაც წვრიმალზე აუტ-ყდა ქმარს და სასტიკი საყვედურები დაუწყო. სოკრატემ არაფერი უპასუხა, რადგან არ სურდა ცოლის კიდევ უფრო გაღიზიანება. მაშინ ქსანტიბამ ხელი წამოავლო. წყლით სავე ვედროს და თავ-ზე გადაასხა ქმარს.

— ეს საფსებით ბუნებრივიაო,—მშვიდად სთქვა სოკრატემ,— ქუხილის შემდეგ ყოველთვის წვიმა მოდისო.



— რატომ დახურეს „დეილი უორკერი“?
 — ცილისწამებისთვის. ის ამტკიცებდა თითქმის ინგლისში ბეკდვითი სიტყვის თავისუფლებას არ არსებობდეს.



(თბილისი)

გუბის ქუჩას არ ემჩნევა
რაისაბჭოს ხელია,
ხიდი ღვარმა გაიტაცა,
დავრჩით ცარიელია.

აქ გამვლელი ყველა მგზავრი,
მდინარეზე ხტუნაობს;
ზოგიც წყალში ვარდება და
ტანჩაცმული ცურაობს.

ერთი თვეა, რაც ვერ ვხედავთ
აქ ანთებულ ნათურებს,—
კომგანს ვკითხავთ: ჩვენი ქუჩის
ზრუნვის გრაფიკს რათ ურევს?

მწელოლი

(რკ. გზის საინჟ. ინსტიტუტისათვის)

თუმცა ჩვენც გვაქვს სასაღილო,
მაგრამ არაა საქმები.
შიგ საკმაოდ არ გვაქვს სკამი,
არც ჭიქა და ლამბაქები.

მიმტანთ თალხი ხალათები
ტანთ აცვიან ძველის ძველი,
თან კერძებიც აღარ გახლავთ,
ნოყიერი, მიმზიდველი.


ფასები კი ორმაგი აქვთ,
ძალზე ძვირად იყიდება.
ნიანგოჯან, მათ გამგეებს
დასცხე, ნუ დაგავიწყდება.

მ. სომაია

დალაქის გვენიკა

ნახ. ა. კანდელაკისა

ყვარლის კოლმეურნეობა „ახალ წყაროს“ შენობა დაზიანებულია.
ლია კედლებიდან ქარი შემოდის!



— ახლა აქედან მიაფარე, კირიზე, ქვენა ქარი ამოქროლდა!

სოფელ პირველი მაისის (სოფლისკულტურის) ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციას თხები შეეჩვივნენ. ისინი მოედგნენ კოლმეურნეობის 50 ჰექტარ მიწაზე გაშენებულ ჩაის პლანტაციას და მაღიანი ხრამ-ხრუმი აუყენეს. კოლმეურნეობის გამგეობას არავითარი ხერხი და ძალა არ დაუკლიათ ამ აბეზარ ცხოველების მოსაშორებლად. თხებს მაინც იერიში მიჰქონდათ ჩაის ბუჩქებზე. ვინ იცის სანამ გაგრძელდებოდა ეს მდგომარეობა, რომ ერთ გარემოებას ხელი არ შეეშალა თხების თარეშისათვის. ტყიდან გამოძვრა მამალი მგელი და 2 თხას უცბად გაუსწორა თავისი მუშაობის ანგარიში. ეს ამბავი ყურადღების გარეშე არ დარჩენია კოლმეურნეობის გამგეობას. განაკუთრებით კი თხებს, რომლებიც თავიანთ მხანაგების დაკარგვას იგონებდნენ და გაურბოდნენ პლანტაციას. პლანტაციის სრული დაცვის მიზნით კოლმეურნეობის გამგეობამ გადასწყვიტა: რაც უნდა დაუჭედეს დაიჭიროს 5 მგელი და გაუშვას ჩაის პლანტაციაში. ალბად ეს უზრუნველყოფს ჩაის პლანტაციის სრულ დაცვას აბეზარ თხებისგან.

ჟაირო

ნაკვეთი გრამატიკიდან

მე შევუდექი გამორკვევას გრამატიკიდან... შეიძლება, ამ გამორკვევით ისეთი რამ აღმოვაჩინე, რომელიც უკვე აღმოჩენილია, მაგრამ მე ჩემსას არ დავიშლი—მაინც გაგაცნობთ.

აღმოვაჩინე უკვეშირო წინადადება, რომელშიაც კავშირი იგულისხმება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანო რაიმე ველისციხის ცხოვრებიდან... თუნდაც ველისციხის თეატრის ცხოვრებიდან: „ვინაიდან სინათლე არ არის,—სპექტაკლი გადადებულია“... ამ წინადადებაში იგულისხმება კავშირი—„ამისათვის“. ეს წინადადება აქაურებისთვის ისეთი მომხიბვლელია, რომ ველისციხის თეატრის მაცურებლებმა ზეპირად იციან... და როცა სპექტაკლის შუა მსვლელობის დროს ქრება სინათლე, ხალხი უკვეშირო წინადადების გამოუცხადებლად გადის დარბაზიდან.

სტ. არღუთელი

ჩანგლით და ბლოკნოვით

(ჩინოვების სასაღიროებო)

თხა — თხაზე ნაკლები
გვალმა გვაქამოს

ნახ. გ. ისაივისა



ატარის გამყიდველი: ამივსე ჭიქა, რატომ აქაფებ?
დუღის გამყიდველი: აბა, პური ხომ არ არის, რომ სახწორზე თითი დავაყოლო.

ამხანაგო ნიანგო!

ამხანაგო ნიანგო!

უნდა გაუწყოთ ერთი სამწუხარო და ერთიც სასიხარულო ამბავი!

არტელ „ქართული პურის“ № 24 წერტის გამგე ფილიპე კერესელიძეს გვგმა ჩეშალა: მას განზრახული ჰქონდა ფეკელის მთელი რიგი ტომარები გაეყავებინა ვანზე და მხოლოდ ერთი ტომარა ფეკელის გაქაფვა კი — მოასწრო: საქმე იმაშია, რომ კვლე ელიძე, მისთვის სრულიად მოულოდნელად მოხსნეს სათუშაოდან.

ეს — სამწუხარო.

ახლა სასიხარულო:

ჩვენი ძმა ფ. კერესელიძე ისევ აღადგინეს და ერთის ნაცვლად, ორი წერტი ჩააბარეს.

ამის საპასუხოდ მან აიღო ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულოს პურის ხარისხის დაქვეითებისა და ფეკელის ჩუმად გაყიდვის გეგმა.

ამ ვალდებულებას იგი პირნათლად ასრულებს.

ღმარ მახვილაკიძე

ამხანაგო ნიანგო!

თუ გინდათ ადვილად შეიძინოთ ტრიკოტაჟი, გაციანი ჯანგირ-ოლი, რომელსაც „ინვეპრობის“ წერტი აბაზია ლენილის ქუჩაზე, № 8-ში, თუ, ძიუხედავად ნაცნობობისა, მან გაგაჯავროთ, საჩივრის წინააღმდეგ მოსთხოვეთ — არა ჯანგირს, არამედ გამგეობას. თუ იქაც ვერაფერი გააწყობთ, შეურიგდით ბედს, რადგანაც ჯანგირის სიტყვით, იგი თვითონ არის შინაგაჭობაც, და ასე გასინჯეთ — დირექციაც.

პ ი ა

ამხანაგო ნიანგო!

გთხოვთ როგორმე დაგვემართოთ სასწრაფო დახმარების გამოძახებაში: საქმე იმაშია, რომ ბესიკის ქ. № 15-ში, ბერძნული ლავაშების № 7 წერტის გამყიდველებმა კაქიანა და სააკიანა ხელგეზე მკეპეები გაიჩინეს აწონია დროს სასწორზე ცემით, რაც ხდება პურისათვის მტერი სიმძიმის მიცემია მიზნით.

ბუფე

კ. ხაფიჩიანი

ერთ მშვენიერ დღეს ავიღე ნიანგის ჩანგალი და შევამოწმე რკვლის დახურული სასაღიროების № 13, 14, 84.

პირველად ვეწვიე სასაღირო № 13-ს. შევედი თუ არა, იმ წამსვე მისცეს საუზმის საყვირი. წამი და სასაღირო გაივსო მოსაუზმებით. მათ პირველი იერიში მიიტანეს კოვზებზე. ამ იერიშებში გამარჯვებული 13 კაცი აღმოჩნდა, აქ მათ შორის 7 კაცმა სკამები იგდო ხელში, ხოლო ექვსმა — კოვზები.

დაიწყა შემდგომი ეტაპი ეს იყო საუზმის მოთხოვნა.
— პური, აბა პური მოგვაროდით. — გაისმა გუნდ-გუნდთა შეძახილი ბუფეტთან. შეძახილს კვლავ იერიში მოჰყვა. და ბუფეტის წინ გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა. მებუფეტე დომენტიც დაფაცურდა. ყველას გულის მოგებას შეუდგა: ზოგს 100 გრამს აკლებდა, ზოგს მეტსაც. მე გადავწყვიტე სასაღიროს გამგე დოლიძესთან პატარა ინტერვიუს მოწყობა.

— შეიძლება გამაცნოთ თქვენი მუშაობა? — შევმართე მას მოკრძალებით.
— მერე თქვენ საიდან ხართ? — მკვანდე მომიგო მან.
— სახვაჭრობის ინსპექციიდან გახლავართ.
— სიამოვნებით, სიამოვნებით, დაბრძანდით, — უცბად დაშაქრულად შემომთავაზა.
— დიახ, თქვენი მუშაობის შესახებ მინდა გკითხოთ ზოგი რამე.
— ჩვენ სავსებით გარდავქმენით მუშაობა, შედეგიც ჩინებული გვაქვს.
— მაგალითად.
— თუ შავალითაღ ზოგ დახურულ სასაღიროს კერძები აკლდება, ჩვენ გვრჩება კიდეც.
— მართლაც რა საშუალებით მიაღწიეთ ამას?
— სულ უბრალოდ: ჩვენს სასაღიროზე მომაგრებულია 220 კაცი, აიშვება საყვირი და ყველანი ერთად მოდიან. ჰოდა თქვენ თვითონ იფიქრეთ შეიძლება?

— რა?
— შეიძლება, რომ 220 კაცი 7 სკამზე დაჯდეს?
— როგორ შეიძლება.
— ან ის შესაძლოა, რომ 6 კოვზით ამდენმა ხალხმა ისაღიროს?
— რა თქმა უნდა შეუძლებელია.
— ჰო და მეც გეთაზნებები... რადგან აქ 7 სკამი და 6 კოვზი გვაქვს, ჯდება შეიძლება შეიძლება კაცი. დანარჩენები ადგიან თავს და უცდიან. შემდეგ სხვა მზიდი დაჯდება და მათ სხვები უცდიან, ამასობაში მუშაობის საყვირიც აიშვება. ადგება ეს ხალხი და ყველა ერთად ვაგა სასაღიროდან; ხომ დავგვრჩება კერძები? დიახ, დავგვრჩება.
— ეს დაუჯერებელია, — ძიუფე მე ეს ხომ...
— არ გჯერათ? — მაშ ჩემს ძებუფეტე დომენ ჩის ჰკითხეთ. მშვენიერი ბიჭია დომენტი: მართალია ჯადაგირი დიდი არა აქვს, მაგრამ საკუთარი მეცადინეობით, კარგი გამოჩინება რჩება.

— ეს ხომ აღმაშფოთებელი დაუდევრობაა, — მიუფე მე და ბლოკნოტი მოვიმარჯვე მისი „არგუმენტების“ აღსარიცხავად.
— როგორ? ჩვენვე გვამტყუნებთ თუ? აბა, ობიექტური მიზეზები არ გწამთ თქვენ?
ეს სიტყვებილა გავიგონე სასაღიროდან გამოსვლისას.
№ 84 სასაღიროშიც ბევრი აღმოვაჩინე № 13 სასაღიროს მეთოდის მიმბაძველები. განსაკუთრებული ყურადღება მხარეულმა დათიკომ მიიპყრო: როგორც შევატყვე, იგი უნდა ბაძავდეს იმ ქვაბების ძირებს, რომლებშიც საღიროებს ამზადებს. მათსავით გამურული ხელები ჰქონდა და ხალათიც ისეთივე ეცვა.
— რატომ გაქვს უსუფთაო ხალათი? — შევეკითხე მე.
— ერთი ამას უყუფეთ, — გაიკვირვა დათიკომ, — რალა მე მომაქციე ყურადღება, სხვა რა არის აქ სუფთა?

— რატომ არ ასუფთაებთ?
— მაგის შესახებ გამგეს მოელააარაკე.
გამგესთან მოლაპარაკებიდან ის აზრი გამოვიტანე, რომ ეტყობა არც სთვლის თავის ვალდებულებად სისუფთაისათვის ზრუნვას. აქედან კი დასკვნა ცხადია: სასაღირო საჭიროებს მზრუნველ ხელს.
ამ დასკვნის შემდეგ № 14 სასაღიროსკენ გავსწიე.
— პირველი რა გაქვთ? — შევეკითხე შესვლისთანავე.
— ბორში.
— მეორე?
— ბორში.
— რა ღირს პირველი?
— ათი შაური.
— მეორე?
— ექვსი აბაზი.
— რატომ არის ასეთი განსხვავება?
— ინი ჰომ, რომ მეორე ბორშიში 5 გრამი კომბოსტოს ფოთოლი ურევია, — პირველ ბორშიში კი არა. მაგრამ ვადაპკარ ჯერ ეს.

და მან დიდი ჭიქა არაყი მომაწოდა.
— როგორ, ვანა თქვენ არაყითაც ვაჭრობთ?
— როგორ, ვანა აკრძალულია არაყის მოხმარება? — კითხვითვე მომიგო მან. — დააქი, გადაპკარ, სულ ერთია არ მოგეშვები.
რაკი შევატყვე, რომ მართლაც არ მომეშვებოდა, მე გამოქცევით ვუშველე თავს, რადგან დრო აღარ მრჩებოდა, რაც იქ ვნახე, ნიანგისათვის უნდა მომხსენებინა.



ჩვეულებით, როგორც კრესლოში

კულტურის სახლში

სტუდენტების საპარტიკამპერტოში
გოგლითივცა

(სამტრედია)

მოვიმარაგე უბეში
წითელ-ყვითელი ფანქარი,
ახალ ბაზრის გზას გაუდექ
ბუტბუტითა და ქაქანით.
ის იყო უნდა მიმედღენა
ბაზრისთვის ძმური სალაში,
რომ ამ დროს გასკდა მიწა და
გაჩნდა უფსკრული, წყვარამი.
მიმოვიხედე, რას ვხედავ,
ტლაპოში კვდება კამეჩი:
და ვთქვი:—ეს რა ამბავია,
გავიკვირვე და გავლენჩდი.
„ქუჩა ორმოა“—ვიფიქრე
და ხტუნვა ვიწყე განდაგან.
წინ კაცი მიდუღუნებდა,
მიეყვები იმ კაცს „ბადრაგად“.
რომ გავიარეთ სულ ცოტა:
ორი თუ სამი ნაბიჯი,
იმ წყალში, როგორც „კრესლოში“
ჩავვქეპით მორცხვად, პატრეით.
სიომ დაჰბერა, თუ ქარმა,
ის აღარ მახსოვს ამხანად.
მე ბაზრის თავში გამრიყა
გზა დაულოცე ამხანავს.

ჰავნელი ბზიკი

(ქუთაისი)

კულტურის სახლში შევედი
კულტურულ გართობისთვის,
მე უკულტუროდ მეჩვენა,
არ მომეწონა ის ბინა.

გავჟღარავდი სავსებით
კინო-სურათის ლოდინში,
იქ სკამზე ყვინთვას მიჯობდა
შინ ვწოლილიყავ ლოგინში.

დავსევდიანდი, დავლონდი,
აღმომხდა ბევრი კენესა მე,
ბოლოს როდესაც გაისმა
მამლის ყივილი მესამე,

დაიწყო კინო სურათი,
ასჯერ გაუწყდათ ლენტია
მაყურებლები გარბოდნენ
თითქოს დაარტყეს კეტია.

და მსახიობიც ეკრანზე
ბნელით მოცული ჩნდებოდა
რა ენით ლაპარაკობდა,
ლინგვისტიც ვერ მიხვდებოდა.

მუ-რელი

სულ სამ წუთში გამპარსა
არსენ პარიკმახერმა:
ვადამკორტნა ცხვარივით,
წვერი გამინახევრა.

რვა კრილობა მომილო
თავის „ბასრი“ დანითა.
მერე სისხლი მომწმინდა
იოდით და ბამბითა.

თან „ჩეკი“ მომაწოდა
ხელში დიდის ამბითა.
ხუთიანი ეწერა,—
(გულში ბრაზი აღიდდა),
ნუ თუ პრეისკურანტი
ასე სწრაფად გადიდდა?

იზვარისპირელი.

ხასლა


ყიუიანის ქ. № 6 სახლში

ნახ. მ. ლებეშვიცა

ნახ. დონიხა



— თქვენი ფიზიონომია ჰგავს ფიზიონომიას გონებაგაუხსნელი
კაცისას, როდესაც მას ჰკვიანი უცქერის.
— თქვენ ხცდებით: აქ ახლა ჩემს გარდა ჰკვიანი არავინ არის,
ამიტომ ვერც დამიწყებ ცქერას.



სახლი დანგრევის პირზეა,
მდგმურები შიშით კრთებიან,
წვიმის დროს ზღვა დგას ბინებში
შიგ კალმახები ჩნდებიან,
თუ დროზე არ შეგვიკეთეს,
ქაშაყად გაიზრდებიან.


საპარიკმახერობისათვის

ნიანგი ადგენს ახალ პრეისკურანტს საპარიკმახერობისათვის. ეს პრეისკურანტი საესებით შეფარდებულია იმ ახალ ფასებთან, რაც შემოღებულია მიმდინარე წლისათვის აბანო-საპარიკმახერობის ტრესტის მიერ.

სიღნაღის რაიონის საკოლმეურნეო ფერმებში გაბზობდა შემთხვევები, როცა დედა-ლორები ცამეტ გოჭს იგზობენ. კორესპოდენციიდან

- 1. პირის გაპარსვა 80 კაპ.
- 2. კისრის „ „ 20 კაპ.
- 3. პუდრის წასმა 10 კაპ.
- 4. ოდეკალონი 30 კაპ.
- 5. საპნის წასმა 20 კაპ.
- 6. მეორედ საპნის წასმა 30 კაპ.
- 7. შეკითხვა: „დანა ხომ არ გაწუხებ?“ . 35 კაპ.
- 8. ნიკაბზე-სისხლის გამოდენა 40 კაპ.
- 9. იმავე სისხლის გამოდენა ცხვირის არეში 30 კაპ.
- 10. დანის გაღვსვა ტყავზე 10 კაპ.
- 11. შეკითხვა: „თმა ხომ არ დაგიხუტუოთ?“ 40 კაპ.

სულ 3 მან. 45 კაპ.



— გამიჭირვა საქმე ამ ღორმა?
 — რათა ქა?
 — ეს მეცამეტეჯერაა, მეცამეტე გოჭი მოიყვანა... საწოვარის ყიდვას ვერ აუწვდი.

შენიშვნა: ზემოაღწერილ ყველა ოპერაციათა შორის კლიენტს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ პირველი ოპერაციით—გაპარსვით, მხოლოდ მას არ შეუძლია არ გადაინადოს ამ ოპერაციათა მთელი ღირებულება 3 მან. 45 კაპ.

სწორია: გენ-ლი

ჩვენნი უოსგა

ნაწარმელს (ჩაქვი) ადგილობრივ სასაღილოს შესახებ მიმართეთ ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს ჩაქვში, რომელიც თან ატარებს „ნიანგის“ ჩანაგულს.

მელიც ზემოხსენებულ სოფელში ცნობილი მოჩხუბარი ყოფილა. ერთ-ერთ ქორწილში მას აყალ-მაყალი აუტეხია რისთვისაც იგი მაგრად უტყემიათ.

სასაღილოს მიადექით
 შრომის შემდეგ, რომ მოგშივდეს,
 მაგრამ ვაის შეეყრებით
 და დაიკბენთ თქვენვე თითებს.

ჩვენი ვარლამ დევგმირობდა,
 ყველას ჩხუბი აუტეხა.
 ერთმა ბიჭმა ისე დასცხო,
 თავი შვაზე გაუტეხა.

აი რა ტრადიციის განიცდიან თურმე ჩაქველები თქვენს სასაღილოში არსებულ მდგომარეობის გამო.

კარგი იქნებოდა, რომ იმ „ერთი ბიჭის“ ვინაობასაც გვაცნობებდეთ.

გაგონილა, ასე ძვირად
 უსუფთაო კერძი ღირდეს,—
 რა პოვარი უნდა იყოს,
 კერძში მხოლოდ ძვლებსა ყრიდეს.

კრიმბაშულს (ნაქალაქევი) თქვენს რამე-რუმედან გამოდგა შემდეგი სტრიქონები:

„ავიაქიმში“ ჩავეწერე
 (მიყვარდა მე სროლა)
 თავმჯდომარემ კი ვაწნები
 ყველა შაშვს ესროლა
 ამხანაგს დავეჭიდავე
 მოვიტეხე ხელი,
 „სკორი პომოჩს“ დაუძახეს,
 ახლა კიდევ ველი.

როცა ჩვენი რწმუნებულნი გაეცნობა მას, შეიძლება შემდეგ ხორციანი კერძიც მიირთვათ.

გამოგზავნეთ მასალები და თქვენი მისამართი.

მეთვალაშურს (ჩოხატაურის რ. სოფ. შუა-განახლება) თქვენს მოთხოვნას, რომ ლექსი „სასაცილო ქორწინება“ ჩვენს ჟურნალში „გავატაროთ“ როგორც თქვენ გვწერთ, — ვერ ვაკმაყოფილებთ, მიუხედავად ამისა, თქვენი ლექსი მაინც საინტერესო შემთხვევას ეხება. კერძოდ კი მოქალაქე ვარლამ ყაჭვიშვილის პიროვნებას, რომელიც

სარედაქციო კოლეჯია რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. 5, ტელ. 3-74-67

გადაეცა წარმოებას 1941 წ. 10/III ხელმოწერილია დასაბუქდად 1941 წ. 22/III. გამ-ბა „ზარია ვოსტოკა“ ა. ფ. მისანიკოვის სახ. სტამბა ქ. თბილისი, ყდა დაიბეჭდა ლ. პ. ბერიას სახ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28

ხელთაუა ზღვაზე

ნახ. გ. ისაევისა და მ. ოთაროვისა



ნეკტუნი: ეს, ამასაც ცხოვრება ეთქმის?—ზღვათა მფლობელს მეძახიან და ზღვებში ერთი მყუდრო კუნ-
კული კი აღარ შეშანარჩუნეს.

სტამბა